


მოცემული პუბლიკაცია მიმოიხილავს მეცხოველეობის ინდუსტრიაში არსებული პროდუქტების საბაზრო ფასების დინამიკას 2022 წლის **ოქტომბრის** თვის განმავლობაში, თბილისისა და საქართველოს 10 რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრების მასშტაბით. ეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება პროექტის ფარგლებში შერჩეულ ქსელური მარკეტების ფილიალებსა და ადგილობრივ, არაქსელურ მარკეტებში ხორციელდება, ხოლო არაეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება - აგრარულ ბაზრებში. პუბლიკაციაში ასახული ფასები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში.

საშუალო ფასების გამოანგარიშებისას გამოყენებულია საშუალო შენონილი მეთოდი.

**ოქტომბრის თვე / 2022**


ოქტომბერში **ეტიკეტირებული ყველის** ფასების ცვლილება უმნიშვნელო იყო. იმერული ყველის ფასი **1.1%-ით შემცირდა**, ხოლო ქარხნული და სულგუნი კი მცირედით **გაძვირდა**.

**ეტიკეტირებული ყველის ფასები სუპერმარკეტებში**



**ოქტომბრის თვე / 2022**

**არაეტიკეტირებული ყველის ფასები აგრარულ ბაზარში**




განსხვავებით ეტიკეტირებული პროდუქტებისა, **აგრარულ მარკეტებში** ყველის ფასის ცვლილება შედარებით შესამჩნევია. ოქტომბერში იმერული **2.0%-ით გაიფდა**, ხოლო ქარხნული კი **4.6%-ით გაძვირდა**. სულგუნის საშუალო ფასი კი **მცირედით შემცირდა**.

**ოქტომბრის თვე / 2022**

ოქტომბერში **მანვნის საშუალო ფასი მცირედით გაიზარდა**. აღსანიშნავია, რომ რუსთავეში მანვნის საშუალო ფასი **2 ლარს ჩამოცდა**.

**ეტიკეტირებული მანვნის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური ფასი**



სექტემბრის თვეში ხორცის გაძვირების შემდგომ ოქტომბერში ფასები **შედარებით დასტაბილურდა**. ეტიკეტირებულ პროდუქციაზე ფასები საშუალოდ **2%-დან 3.3%-მდე** გაიზარდა, ხოლო აგრარულ ბაზარში კი **0%-დან 6.4%-მდე**.


**ეტიკეტირებული**

საქონლის არტალა	3.3%	18.8 ლ
საქონლის ძვლიანი	1.9%	21.9 ლ
საქონლის რბილი	3.1%	30.3 ლ
ხბოს ძვლიანი	0.0%	20.0 ლ
ხბოს რბილი	0.0%	29.9 ლ

**არაეტიკეტირებული**

საქონლის არტალა	6.4%	12.2 ლ
საქონლის ძვლიანი	0.1%	17.7 ლ
საქონლის რბილი	1.2%	21.1 ლ
ხბოს ძვლიანი	1.1%	19.6 ლ
ხბოს რბილი	3.6%	21.1 ლ

ოქტომბერში 1 ლიტრი ნედლი რძის საშუალო ფასი **5 თეთრით გაიზარდა** და **1.75 ლარი** შეადგინა. ფასების ზრდა დაფიქსირდა სამეგრელო-ზემო სვანეთში, სამცხე ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში.



ოქტომბერში საქონლის საკვების ფასები სტაბილური იყო. გამონაკლისს შეადგენენ **ქერი (+5.6%)**, **ხორბალი (-9.5%)** და **მზესუმზირის შროტი (-16.7%)**

	<b>სილოსი</b>	0.37 ლ	0.0% ≈		<b>თივა</b>	0.38 ლ	0.0% ≈		<b>იონა</b>	0.59 ლ	0.0% ≈
	<b>ქერი</b>	0.95 ლ	5.6% ↑		<b>სიმინდი</b>	0.9 ლ	0.0% ≈		<b>ხორბალი</b>	0.95 ლ	-9.5% ↓
	<b>სოიოს შროტი</b>	2.55 ლ	0.0% ≈		<b>მზესუმზირის შროტი</b>	1.5 ლ	-16.7% ↓				
	<b>ქათმ</b>	0.8 ლ	0.0% ≈		<b>ცხოველის მზა საკვები</b>	1.63 ლ	0.0% ≈				